

## “Laughter” or “Tears”?

(On the question of details in Thomas Mann's “Doctor Faustus”)

„სიცილი“ თუ „ცრემლები“?

(დეტალების საკითხისათვის თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“)

Nino Kvirikadze

Akaki Tsereteli State University Kutaisi

(Georgia)

ნინო კვირიკაძე

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(საქართველო)

### Abstract:

The clarification of the functions of the marginal details is important for complex themes and motifs of Thomas Mann's “Doctor Faustus”. We consider two details – 'laughter' and 'tears' – in the context of the strings of words that run throughout the text space of “Doctor Faustus”. Adrian Leverkühn's “laughing” in its basic meaning points to the loneliness of the individual, to the isolation of man from the rest of the world and to the closedness within himself. “Tears” have been used throughout human history, and particularly in the Christian religion, as a symbol of mourning, repentance, and catharsis. In the novel, the tear detail serves as a counterweight to evil and cruelty, and consequently signifies the victory of good over evil, of the genuinely human over the inhuman, the satanic. In this meaning, the teardrop detail is contrasted with the leitmotif detail “of laughter”. On this basis, one can state that in the text under study there is an antithesis of evil and good, represented in the novel by two leitmotif details: “Laughter” □ “Tears”.

The purpose of this article is to consider these two details from the point of view of their word series in their interaction, to develop points of contact between the named word series and their penetration into each other.

We trace the joint movement of the word-row details “laughter” and “tears” throughout the text, infer their meaning in the main character's life,

and determine the frequency of their use in the text. We limit ourselves to individual sections in the text.

Quantitatively, laughing details dominate very strongly, but towards the end the tearing details already predominate. The crux of the matter is that the string of words ends with a teardrop detail.

In summary, it can be said that at the end of the work Adrian Leverkühn is no longer laughing, he is crying. So here is the triumph of good over evil. Adrian Leverkühn moves away from the devil and approaches the God.

**Keywords:** Marginal Details, “Laughing” or “Tears”, the Devil or the God, the Triumph of God

**საკვანძო სიტყვები:** მარგინალური დეტალები, „სიცილი“ ან „ცრემლები“, ეშმაკი ან ღმერთი, ღვთის ტრიუმფი

მხატვრული ნაწარმოების კლასიკური ანალიზი ხშირად უგულვებლყოფს ტექსტში დეტალების მიკროსტრუქტურას. ასეთი ტიპის ანალიზის ფარგლებში, ჩვეულებრივ, ფიქსირდება მხოლოდ აშკარად წარმოდგენილი დეტალები (სიგნალები). მაგრამ ზოგჯერ შეუმჩნეველი რჩება მარგინალური დეტალები.

მარგინალური დეტალების ფუნქციათა გარკვევა მნიშვნელოვანია თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსის“ თემებისა და მოტივების რთული კომპლექსის გააზრებისათვის. დეტალების ანალიზი შესაძლებელია ვაწარმოთ სტრუქტურულ-სემანტიკური მეთოდის გამოყენებით საკვლევი ტექსტის მრავალგანზომილებიანი (სემანტიკური და გრამატიკული) სტრუქტურის თვალსაზრისით, კერძოდ, სიტყვათა რიგების კონტექსტში, რომლებიც „დოქტორ ფაუსტუსის“ მთელ ტექსტურ სივრცეს გამსჭვალავს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, თვალი გავადევნოთ საძიებელი დეტალების მოძრაობას თომას მანის რომანის მთელ ტექსტში და დავაფიქსიროთ და ავხსნათ თანდათან მათი მნიშვნელობა ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებში (ფრაგმენტებში) – სიტყვათა რიგების კონ-

ტექსტში. დეტალს ვიხილავთ როგორც რომანის დინამიკური მიკრო-სტრუქტურის მოძრავ რგოლს, რომელსაც შეუძლია გადაინაცვლოს ერთი სიტყვათა რიგიდან მეორეში; ამასთან იქმნება „აზრის გაფართოება“ (Виноградов, 1988, გვ. 245-246; გვ. 258).

გერჰარდ კაიზერი თავის ნაშრომში (Kaiser, 2001) იძლევა ძალზე საინტერესო ანალიზს ცალკეული დეტალების და ლაიტმოტივებისა თომას მანის რომან „დოქტორ ფაუსტუსის“ ტექსტში. ის დაწვრილებით იკვლევს სამ მოტივ-ლაიტმოტივს: ესენია „Lachen“ („სიცილი“) , „ungarisch“ („უნგრული“), „rot“ („წითელი“); გარდა ამისა, ის მიუთითებს, რომ სიცილის მოტივს აქ ხშირად „შაკიკის“ („Migräne“) და სიცივის („Kälte“) მოტივები უკავშირდება (Kaiser, 2001, გვ. 132). შემდეგ ის წერს (2001, გვ. 140): *„უკვე ლაიტმოტივების სამივე მაგალითი [...] ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ფარავს ავტორი რომანის ტექსტს ლაიტმოტივების აზრობრივი ქსელით, რომლებიც იწვევენ ასოციაციებს და ერთმანეთზე მიუთითებენ“*. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული დეტალებისაგან განსხვავებით კაიზერი ძალზე ზედაპირულად ეხება დეტალს „ცრემლები“, რომელიც, ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია „დოქტორ ფაუსტუსის“ ჩანაფიქრის გააზრებისათვის. მიგვაჩნია, რომ ეს დეტალი უნდა განვიხილოთ „სიცილის“ ლაიტმოტივური დეტალის კონტექსტში.

მკვლევრები „სიცილის ლაიტმოტივს“ „დოქტორ ფაუსტუსში“ უკავშირებენ (მისი ძირითადი მნიშვნელობით) ადრიან ლევერკიუნს და მისი მეშვეობით კი – ეშმაკს: *„[...] კავშირი სიცილის მოტივისა ეშმაკის მოტივთან [...] ძლიერდება [...]“* (Kaiser, 2001, გვ. 132). ამასთან კვლევებში ხაზგასმულია, რომ თ. მანს შესწევს უნარი, ოსტატურად გამოიყენოს ეშმაკისაგან მომდინარე საშინელი სიცივე როგორც მხატვრული ხერხი: *„ეშმაკის სიცივე ხაზს უსვამს ადრიან ლევერკიუნის ‘ცივი სიცილს’ – კიერკეგორის ეთიკასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ლაიტმოტივს“* (Русакова, 1967, გვ. 26). ა. რუსაკოვას მოჰყავს კიერკეგორის ძირითადი ესთეტიკური პრინციპი, რაც მდგომარეობს ადამიანის სამყაროსაგან სრული იზოლირებისა და ობიექტურ რეალობაზე უარის თქმის ღირებულების გამოცხადებაში – ე.წ. საკუთარი თავის „არჩევისათვის“. ამ პრინციპს ის განიხილავს ადრიან ლევერკიუნის „ცივი სიცილის“ მიმართ: *„ლევერკიუნის ‘ცივი სიცილი’ – აი რა გამოარჩევს მას ადამიანებს შორის, ქმნის გარკვეულ დისტანციას და მიუთითებს თავის თავში ჩაკეტილი ‘ინტელექტის’ ამპარტოვნობაზე; ეს*

არის სამყაროსა და ადამიანებისაგან იზოლირების საშუალება“ (Pysakova, 1967, გვ. 26).

ამრიგად, ადრიან ლევერკიუნის სიცილი თავისი ძირითადი მნიშვნელობით ადამიანის სიმარტოვეზე, დანარჩენი სამყაროსაგან მის იზოლირებასა და გულჩათხრობილობაზე მიუთითებს. ამავე დროს მთავარი გმირის „ცივი სიცილი“, რომელიც ეშმაკის „საშინელ სიცივეს“ და, მაშასადამე, თავად ეშმაკს, სატანას ეხმიანება, „დოქტორ ფაუსტუსის“ ტექსტში, ლოგიკის თანახმად, უნდა გამოხატავდეს, ჩვენი აზრით, ბოროტებას, სისასტიკეს, სიბნელეს, არაადამიანურს – ერთი სიტყვით, სატანურს.

ამ ლაიტმოტივურ დეტალს „სიცილი“ რომანში, ჩვენი ვარაუდით, უპირისპირდება დეტალი „ცრემლი“ („ცრემლები“), რომელიც, ფაქტობრივად, თომას მანის მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩენილი. ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიაში და განსაკუთრებულად ქრისტიანულ რელიგიაში „ცრემლები“ მწუხარების, მონანიებისა და კათარზისის სიმბოლოდ ითვლება. რომანის ტექსტში ეს დეტალი, რომელიც პირველ დეტალს („სიცილის“ დეტალს) და მისი სახით ეშმაკს უპირისპირდება და, ამრიგად, ჩვენი აზრით, ღმერთს უკავშირდება, უნდა გამოხატავდეს, ჩვენი ვარაუდით, მონანიებას, სიკეთეს, სინათლეს, ჭეშმარიტად ადამიანურს.

ასე რომ, „დოქტორ ფაუსტუსში“ ჩვენ ვაფიქსირებთ ორ ძირითად თემას, რომლებიც სტრუქტურულ-სემანტიკურ დონეზე ორი დეტალითაა წარმოდგენილი:

(I თემა) დეტალი „სიცილი“ – სიმარტოვის, ბოროტების, სისასტიკის, სიბნელის, არაადამიანურის, *ეშმაკის (სატანურის)* თემა;

(II თემა) დეტალი „ცრემლი“ („ცრემლები“) – მონანიების, კათარზისის, სიკეთის, სინათლის, ჭეშმარიტად ადამიანურის, *ღმერთის* თემა. ჩვენი ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ დეტალი „ცრემლები“, მსგავსად დეტალისა „სიცილი“, ასევე მრავალჯერ მეორდება რომანის ტექსტში, ამიტომ ისიც იქცევა ლაიტმოტივად.

ზემომოყვანილიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ საკვლევ ტექსტში სახეზეა ბოროტებისა და სიკეთის, იგივე *ეშმაკისა და ღმერთის ანტითეზა*, რომელიც წარმოდგენილია ორი ლაიტმოტივური დეტალით, ანუ ორი ლაიტმოტივით: „სიცილი“ ⇔ „ცრემლი“ („ცრემლები“).

უნდა აღინიშნოს, რომ რომანში დეტალი „ცრემლები“, როგორც წესი, არ არის იზოლირებული, არამედ ძირითადად ჩნდება სიცილის

დეტალთან ერთად, ე.ი. ისინი ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) ერთად გვხვდება და ერთად ურთიერთქმედებენ მთელ ტექსტში. სწორედ ამ ორ დეტალს შორის არსებული შეხების წერტილებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვენი კვლევისთვის. ამიტომ ჩვენი ამოცანაა, გამოვიკვლიოთ ეს ორი დეტალი („სიცილი“ და „ცრემლები“) მათ ერთობლივ მოძრაობაში სიტყვათა რიგების შემადგენლობაში რომანის მთელი ტექსტის ფარგლებში, დავადგინოთ ამ სიტყვათა რიგების შეხებისა და ერთმანეთში შეღწევის წერტილები; გამოვაკლინოთ მათი მნიშვნელობა რომანის მთავარი გმირის ცხოვრებაში, განვსაზღვროთ მათი ურთიერთქმედება და ტექსტში მათი გამოყენების სიხშირე (სტატისტიკური ანალიზი). კვლევას ვატარებთ ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებში – ფრაგმენტებში.

სიტყვათა რიგის თეორიის თანახმად ორივე დეტალი შეიძლება შეგვხვდეს როგორც თავის საკუთარ დამოუკიდებელ, ასევე საერთო სიტყვათა რიგში. პირველ სიტყვათა რიგში ჩვენ შეგვყავს არა მხოლოდ *Lach-* ან *Lachen* (სიცილის)-ფუძიანი დეტალები (ე.ი. *წმინდა სიცილის* დეტალები), არამედ ყველა ის დეტალი, რომლებიც თავისი მნიშვნელობით გამოხატავენ I თემის (ბოროტება, ეშმაკი) შინაარსს. მეორე სიტყვათა რიგში შეყვანილია არა მხოლოდ უშუალოდ *Tränen* (ცრემლების) – ფუძიანი დეტალები ((ე.ი. *წმინდა ცრემლების* დეტალები), არამედ ყველა ის დეტალი, რომლებიც აზრობრივად უკავშირდებიან II თემას (მოწანიება, სიკეთე, ღმერთი). ამასთან ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს *წმინდა სიცილის* და *წმინდა ცრემლების* დეტალები უფრო ზუსტად გამოხატავენ შესაბამისი თემის (*ბოროტებისა თუ სიკეთის*) მნიშვნელობას ვიდრე სხვები. აქვე აღვნიშნავთ, რომ დეტალი შეიძლება ატარებდეს ორივე თემის შინაარსს, ამიტომ ამგვარი დეტალები შეყვანილი გვყავს როგორც პირველ, ასევე მეორე რიგში. ასევე, ორივე სიტყვათა რიგის განსხვავების უკეთესი ვიზუალური აღქმისათვის, სიტყვათა რიგის „სიცილი“ წევრებს მხოლოდ ვამუქებთ, (მაგ., **Lachen**), ხოლო სიტყვათა რიგისათვის „ცრემლი (ცრემლები)“ ვიყენებთ როგორც გამუქებას, ასევე ხაზგასმის საშუალებას (მაგ., **Tränen**).

პირველი სიტყვათა რიგი შეიძლება პირობითად („დოქტორ ფაუსტუსის“ ტექსტზე დაყრდნობით) წარმოვადგინოთ ასეთი სახით:

*პირველი თემის სიტყვათა რიგი:*

Die „Lachen“ – Wortreihe

სიტყვათა რიგი „სიცილი“ (ნიმუში)

Lachen – Lächeln – *halb* lächelnden – Migräne – hat gelacht – Komische – Erheiterung – Gelächter – zum Lachen – belustigen – spöttische – Auflachen – lachend – heiter – im Spott – Parodie – Scherz – Anekdote – wieherndem Gelächter – Höllengelächter – „Apocalipsis cum figuris“ – die „Apokalypse“ – nicht lächeln konnte – Heiterkeit – Geckicher – karikieren – Teufel – Dämon – და ა.შ.  
 (სიცილი – ღიმილი – ნახევრად მოღიშარი – შაკიკი – გაიცინა – კომიკური – გამხიარულება, გართობა – სიცილი, ხარხარი – სიცილი, სასაცილოდ – გამხიარულება – დამცინავი, ირონიული – გაიცინა – გაცინებული – მხიარული, გახარებული – დაცინვა, ირონია – პაროდია – ხუმრობა, გართობა – ანეკდოტი – საშინელი ხარხარი – ჯოჯოხეთური ხარხარი – „Apocalipsis cum figuris“ – „აპოკალიფსი“ – გაღიმება ვერ შეძლო – მხიარულება – ხითხითი, ჩაცინვა – შარჟირება – ეშმაკი – დემონი – და ა.შ.)

მეორე სიტყვათა რიგი შეიძლება ასევე პირობითად დავაფიქსიროთ შემდეგნაირად:

*მეორე თემის სიტყვათა რიგი:*

Die „**Tränen**“ – Wortreihe

სიტყვათა რიგი „ცრემლები“ (ნიმუში)

Tränen – zum Weinen – gefeuchteten Augen – ihm die Augen übergehen – sich ihm die Augen genässt hätten – feuchte – „Weheklag Dr. Fausti“ – mit Tränen bewässelt – Weinende – mit feuchten [...] Augen – weint – Klage – mit schluchzender Stimme – Lamentieren – Klagesang – Lamento – Klagelaut – nicht lächeln konnte – naß – Klätlicheres – wandte mich in Tränen – Gott – და ა.შ.

(ცრემლები – სატირლად – სველი თვალები – ცრემლები ჩაუდგა თვალებში – თვალები ცრემლებით აევსო – ნოტიო, სველი – „დოქტორ ფაუსტის გოდება“ – ცრემლებით დაუსველდა – მტირალი – ნოტიო, სველი თვალებით – ტირის – გოდება, მოთქმა – ასლუკუნებული ხმით – გოდება – გოდება, ქვითინი – გოდება – გოდების გამომხატველი ბგერა, საცოდავი ბგერა – გაღიმება ვერ შეძლო – ნოტიო, სველი – ტირილის გამომხატველი, საცოდავი – ცრემლები ღვარი-ღვარ მოდიოდა – ღმერთი – და ა.შ.)

ზემოჩამოთვლილი დეტალები, როგორც საკვლევი სიტყვათა რიგების წევრები, მოცემულია აქ მხოლოდ ერთ-ერთ თავიანთ მორფოლოგიურ ფორმაში, თუმცა რომანის ტექსტში ისინი არაერთხელ გვხვდება როგორც ამავე, ასევე სხვა სახითაც. ამის შედეგად ორივე სიტყვათა რიგი საგრძნობლად იზრდება და ფართოვდება. ნაწარმოების ტექსტურ სივრცეში მოძრაობისას დეტალებმა პირველი რიგიდან („სიცილი“) შეიძლება შეაღწიონ და გადაინაცვლონ მეორეში („ცრემლები“), და პირიქით, რის გამოც ეს ორი სრულიად დამოუკიდებელი სიტყვათა რიგი ქმნის ერთ გაერთიანებულ სიტყვათა რიგს „სიცილი – ცრემლები“ (*Die Lachen-Tränen-Wortreihe*). სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავთ ამ სიტყვათა რიგების ურთიერთკავშირსა და ურთიერთზემოქმედებას მათი სტრუქტურის, შინაარსის და გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ, თუ როგორ ეხლართება და ებრძვის ერთმანეთს „დოქტორ ფაუსტუსის“ ტექსტში *ბოროტებისა* და *სიკეთის* თემები – დეტალების სახით, თუ რომელი თემა დომინირებს აქედან რომანის მსვლელობაში და რომელი იმარჯვებს საბოლოოდ ნაწარმოების დასასრულს.

ქვემოთ მაგალითების სახით მოგვყავს ცალკეული ფრაგმენტები რომანიდან. ორივე დეტალი („სიცილი“ და „ცრემლები“) განიხილება არა მხოლოდ რომანის მთავარი გმირის კონტექსტში, არამედ სხვა პერსონაჟთა თვალსაზრისითაც, ვინაიდან საკვლევი დეტალები ამ შემთხვევაშიც ინარჩუნებენ თავიანთ ძირითად მნიშვნელობებს – *ბოროტებისა* და *სიკეთის* ანტითეზის ჭრილში. თუმცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში მათ შეიძლება ჰქონდეთ აგრეთვე უფრო ვიწრო, ლოკალური დამატებითი მნიშვნელობაც, ან შეიძლება სულაც არ ჰქონდეთ კონტექსტში რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ პირობითად ჩავთვალთ, რომ ყველა ის დეტალი, რომელსაც ჩვენ ვიზუალურად და აზრობრივად მივაკუთნებთ ჩვენს მიერ შემოღებულ პირველ თუ მეორე სიტყვათა რიგს, ავტომატურად მიიღებს შესაბამისი რიგის სიმბოლურ მნიშვნელობას.

გერჰარდ კაიზერი *სიცილის მოტივს* პირველად აფიქსირებს რომანის III თავში – იქ, სადაც ზერენუს ცაიტბლომი აღწერს, რომ ადრიანს ხშირად უცინია მამამისის მემკვიდრეობითი ბიბლიის „ცოტა არ იყოს, სკანდალური ბედ-იღბლის“ (მანი, 2002, გვ. 16) თაობაზე და თავად ადრიან ლევერკიუნი წარმოდგენილია როგორც პერსონაჟი,

რომელიც „კომიკურ ამბებს ხარბად ეტანებოდა“ (მანი, 2002, გვ. 15) (იხ. Kaiser, 2001, გვ. 131).

მაგრამ, ჩვენი აზრით, ხსენებული მოტივი „დოქტორ ფაუსტუსში“ პირველად სხვაგან ჩნდება, მართალია, იმავე III თავში, ოღონდ უფრო ადრე – ფრაგმენტში, სადაც მოხსენიებულია ადრიანის მამა, იონათან ლევერკიუნი. და ეს იქნება ფრაგმენტი პირველი:

### ფრაგმენტი პირველი (I)

Jonathan Leverkühn war ein Mann besten deutschen Schlages [...].  
[...] die Unterlippe, **mit einem Lächeln**, das [...] **mit dem** [...] **halb lächelnden**, [...] **Blick der blauen Augen** übereinstimmte. [...]  
Ein Physikus hätte [...] **eine Neigung zur Migräne** angemerkt, **der Jonathan allerdings unterlag** [...] (Mann, 1955, გვ. 19).

Jonathan Leverkühn war ein Mann besten deutschen Schlages [...].  
[...] die Unterlippe, **mit einem Lächeln**, das [...] **mit dem** [...] **halb lächelnden**, [...] **Blick der blauen Augen** übereinstimmte. [...]  
Ein Physikus hätte [...] **eine Neigung zur Migräne** angemerkt, **der Jonathan allerdings unterlag** [...] (Mann, 1955, გვ. 19).

როგორც ვხედავთ, პირველ (I) ფრაგმენტში წარმოდგენილია მხოლოდ პირველი თემის – *სიბნელისა* და *ბოროტების* – დეტალები, რომლებიც აქ იწყებენ *სიცილის* სიტყვათა რიგს.

პირველი ფრაგმენტის *სიცილის* სიტყვათა რიგი:

(I) **mit einem Lächeln – mit dem halb lächelnden Blick der blauen Augen – eine Neigung zur Migräne ... der Jonathan allerdings unterlag –**

((I) **ღიმილი დასთამაშებდა – ნახევრად მოღიმარ ცისფერი თვალების გამოხედვას – შაკიკისაკენ მიდრეკილებას ... რაც იონათანს მართლაც სჭირდა –**)

წმინდა *სიცილის* დეტალებთან ერთად ამ ფრაგმენტში ჩნდება სიტყვა „**Migräne**“ („შაკიკი“), რომელიც ჩვენ ასევე შევიყვანეთ *სიცილის* სიტყვათა რიგში. პირველი ორი *წმინდა სიცილის* დეტალებისა და აგრეთვე *შაკიკის* რეციპიენტის როლში აქ გამოდის იონათან ლევერკიუნი. *ცრემლის* დეტალები, რომლებიც *სიბნელისა* და *ბოროტების* თემას აქ *მონანიებისა* და *სიკეთის* თემას დაუპირისპირებდნენ და *სიცილის* დეტალებს შეებრძოლებოდნენ, ამ ფრაგმენტში ჯერჯერობით არ ფიქსირდება. ამიტომ *სიცილის* დეტალები აქ საკმაოდ მყარადაა წარმოდგენილი, გარდა ერთი მომენტისა: **ნახევრად მოღიმარ**



ცისფერი თვალების გამოხედვას. სიტყვა *ნახევრად (halb)* ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ *სიბნელისა და ბოროტების* თემა აქ შესუსტებულია, რაც პერსპექტივაში გზას უხსნის მეორე თემის – *მონანიებისა და სიკეთის* – შემოტანასა და გაშლას.

ამ ფრაგმენტის გამოვლენის შემდეგ კაიზერთან დაკავშირებული ფრაგმენტი (მის მიერ მოყვანილ ციტატებზე დაყრდნობით) ქრონოლოგიურად გადაინაცვლებს უკვე მეორე ადგილზე და ის ხდება **ფრაგმენტი მეორე (II)**. მის სიტყვათა რიგს თუ დავაფიქსირებთ, ჩანს, რომ აქაც მხოლოდ *სიცილის* დეტალებია წარმოდგენილი:

მეორე ფრაგმენტის *სიცილის* სიტყვათა რიგი:

**(II) Adrian hat gelacht – für das Komische einen durstigen Sinn hatte –**

**(II) ადრიანს უცინია – კომიკურ ამბებს ხარბად ეტანებოდა –**

ამ ფრაგმენტში *სიბნელისა და ბოროტების* თემის მატარებელი ადრიან ლევერკიუნია; *სიკეთისა და მონანიების* თემის დეტალები, რომლებიც *ბოროტების* თემას შეეწინააღმდეგებოდნენ, აქაც არ ჩანს.

მეორე ფრაგმენტის სიტყვათა რიგის დეტალების პირველი ფრაგმენტის სიტყვათა რიგში შეყვანისას საწყისი სიტყვათა რიგი ფართოვდება.

ორივე ფრაგმენტის გაფართოვებული *სიცილის* სიტყვათა რიგი:

**(I) mit einem Lächeln – mit dem halb lächelnden Blick der blauen Augen – eine Neigung zur Migräne ... der Jonathan allerdings unterlag – (II) Adrian hat gelacht – für das Komische einen durstigen Sinn hatte –**

**(I) ღიმილი დასთამაშებდა – ნახევრად მოღიმარ ცისფერი თვალების გამოხედვას – შაკისაკენ მიდრეკილებას ... რაც იონათანს მართლაც სჭირდა – (II) ადრიანს უცინია – კომიკურ ამბებს ხარბად ეტანებოდა –**

**ფრაგმენტი მესამე (III)**

Angesteckt von **Adrians Erheiterung** durch diese Nachrichten, **einem Gelächter, das** ihn förmlich schüttelte und **ihm Tränen erpreßte, mußte auch ich recht herzlich lachen** (Mann, 1955, გვ. 24).

ტექსტის ამ მონაკვეთში გვხვდება *სიცილის* რიგის სამი დეტალი (აქედან ორი *წმინდა სიცილის* დეტალია) და *ცრემლის* სიტყვათა რიგის ერთი დეტალი, რომელიც აქ პირველად შემოდის რომანში.

ამიტომ აქ უკვე ორი სიტყვათა რიგი გვაქვს: *სიცილის* სიტყვათა რიგი და *ცრემლების* სიტყვათა რიგი.

მესამე ფრაგმენტის *სიცილის* სიტყვათა რიგი:

(III) **Adrians Erheiterung – einem Gelächter – mußte ich *recht herzlich* lachen –**

(III) ადრიანს ეს ამხიარულებდა – სიცილი – მეც *გულიანად* ვიციხოდ –

მესამე ფრაგმენტის *ცრემლების* სიტყვათა რიგი, რომელიც ერთი დეტალისაგან შედგება:

(III) (einem Gelächter), **das ihm Tränen erpreßte** –

(III) (სიცილისაგან) ადრიანს თვალეზზე ცრემლი მოადგებოდა – ორივე რიგის შეერთებისას ვიღებთ *ერთიან*, ანუ *გაერთიანებულ* *სიცილ-ცრემლების* სიტყვათა რიგს (*Die Lachen-Tränen-Wortreihe*):

(III) **Adrians Erheiterung – einem Gelächter, das ihm Tränen erpreßte – mußte ich *recht herzlich* lachen –**

(III) ადრიანს ეს ამხიარულებდა – სიცილი – (სიცილისაგან) თვალეზზე ცრემლი მოადგებოდა – მეც *გულიანად* ვიციხოდ –

*ერთიანი სიცილ-ცრემლების* სიტყვათა რიგი ნათლად გვიჩვენებს, რომ *სიბნელისა* და *ბოროტების* თემა აქ ერთდროულად ორ პერსონაჟს (ესენია ადრიან ლევერკიუნი და ზერენუს ცაიტბლომი) უკავშირდება, *სინათლისა* და *მონანიების* თემის რეციპიენტი კი მხოლოდ ადრიანია. რაოდენობრივად აქ *ბოროტების* თემა ჭარბობს (სამი *სიცილის* დეტალი ერთი *ცრემლის* დეტალის წინააღმდეგ), მაგრამ ნაჩვენებია, რომ *მონანიების* თემა *ბოროტების* თემის შედეგადაა მიღებული, *ბოროტების* თემითაა გამოწვეული: „**einem Gelächter, das ihm Tränen erpreßte**“ (სიცილისაგან ადრიანს თვალეზზე ცრემლი მოადგებოდა). ე.ი. *სიცილის* ერთი დეტალი ფაქტობრივად გადაფარულგანადგურებულია *ცრემლის* დეტალით. ის ფაქტი, რომ *სიცილის* ერთ-ერთი დეტალი ზერენუს ცაიტბლომს ახლავს, შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ზერენუსი თავისი მეგობრისა და მისი მემშვეობით კი *ბოროტების* თემის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება: „**mußte auch ich *recht herzlich* lachen**“ („მეც *გულიანად* ვიციხოდ“).

ახლახან გამოყოფილი მესამე ფრაგმენტის ერთიანი *სიცილ-ცრემლების* სიტყვათა რიგი ლოგიკურად ავსებს პირველი და მეორე ფრაგმენტების გაფართოვებულ *სიცილის* სიტყვათა რიგს, თავის მხრივ თავადაც კიდევ უფრო ფართოვდება და ვიზუალურად უფრო ნათ-

ლად წარმოაჩინეს როგორც *სიცილის*, ასევე *ცრემლების* სიტყვათა რიგებისა და მათში დაფიქსირებული დეტალების აზრობრივ განლაგებას:

ერთიანი *სიცილ-ცრემლების* სიტყვათა რიგი პირველი სამი ფრაგმენტის შემდეგ:

(I) mit einem Lächeln – mit dem *halb* lächelnden Blick der blauen Augen – eine Neigung zur Migräne ... der Jonathan allerdings unterlag – (II) Adrian hat gelacht – für das Komische einen durstigen Sinn hatte – (III) Adrians Erheiterung – einem Gelächter, das ihm Tränen erpreßte – mußte ich *recht herzlich* lachen –

(I) ღიმილი დასთამაშებდა – *ნახევრად* მოღიმარ ცისფერი თვალების გამოხედვას – შაკიკისაკენ მიდრეკილებას ... რაც იონათანს მართლაც სჭირდა – (II) ადრიანს უცინია – კომიკურ ამბებს ხარბად ეტანებოდა – (III) ადრიანს ეს ამზიარულეობდა – სიცილი – (სიცილი-საგან) თვალებზე ცრემლი მოადგებოდა – მეც *გულიანად* ვიცინოდი –

შემდეგი ფრაგმენტი ეხება ადრიანისა და ზერენუსის რეაგირებას იონათან ლევერკიუნის მსჯელობებზე ხილულის პატივმოყვარეულ სილამაზეზე.

ფრაგმენტი მეოთხე (IV)

Wir Knaben, **Adrian und ich**, sahen uns wohl mit *halbem und verdutztem Lächeln* an bei solchen Bemerkungen des Vaters, wie dieser über die Eitelkeit des Sichtbaren (Mann, 1955, გვ. 25).

*სიცილის* სიტყვათა რიგი:

(IV) **Adrian und ich** – mit *halbem und verdutztem Lächeln* –

(IV) ადრიანი და მე – *ძლივს ვიმაგრებდით* ღიმილს –

ამ ფრაგმენტში წარმოდგენილია მხოლოდ *სიცილის* დეტალები (რეციპიენტები აქაც ორია: ადრიანი და ზერენუსი), მაგრამ *სიბნელისა და ბოროტების* თემა ორივე პერსონაჟთან შესუსტებულია: mit *halbem und verdutztem Lächeln* (*ძლივს ვიმაგრებდით* ღიმილს).

ფრაგმენტი მეხუთე (V)

Ich kann nicht behaupten, daß ich das gerne sah, aber ich gebe zu, daß ich gebannt davon war, und das war wohl auch **Adrian**, obgleich er immer bei solchen Vorführungen **sehr stark zum Lachen versucht war** und **es allein aus Rücksicht auf den väterlichen Ernst unterdrückte** (Mann, 1955, გვ. 29).

სიცილის სიტყვათა რიგი:

(V) Adrian – sehr stark zum Lachen versucht war – es ... aus Rücksicht auf den väterlichen Ernst *unterdrückte* –

(V) ადრიანსაც – სიცილის საღერღელი ჰქონდა აშლილი – მამის რიდი ... *აკავებდა* –

აქაც მსგავსი სიტუაციაა: *სიბნელის* თემა უფრო სუსტად ჟღერს, თუმცა მისი მატარებელი მხოლოდ ადრიანია. მივუერთოთ ამ ბოლო ორი ფრაგმენტის სიტყვათა რიგები საკვლევ გაერთიანებულ რიგს, რომელიც კიდევ უფრო ფართოვდება:

ერთიანი *სიცილ-ცრემლების* სიტყვათა რიგი IV და V ფრაგმენტების შემდეგ:

(I) mit einem Lächeln – mit dem *halb* lächelnden Blick der blauen Augen – eine Neigung zur Migräne ... der Jonathan allerdings unterlag – (II) Adrian hat gelacht – für das Komische einen durstigen Sinn hatte – (III) Adrians Erheiterung – einem Gelächter, das ihm Tränen erpreßte – mußte ich *recht herzlich* lachen – (IV) Adrian und ich – mit *halbem* und *verdutztem* Lächeln – (V) Adrian – sehr stark zum Lachen versucht war – es ... aus Rücksicht auf den väterlichen Ernst *unterdrückte* –

(I) ღიმილი დასთამაშებდა – *ნახევრად* მოღიმარ ცისფერი თვალების გამოხედვას – შაკიკისაკენ მიდრეკილებას ... რაც იონათანს მართლაც სჭირდა – (II) ადრიანს უცინია – კომიკურ ამბებს ხარბად ეტანებოდა – (III) ადრიანს ეს ამხიარულებდა – სიცილი – (სიცილისაგან) თვალებზე ცრემლი მოადგებოდა – მეც *გულიანად* ვიცინოდი – (IV) ადრიანი და მე – *ძლივს ვიმაგრებდით* ღიმილს – (V) ადრიანსაც – სიცილის საღერღელი ჰქონდა აშლილი – მამის რიდი ... *აკავებდა* –

როგორც ვხედავთ, განხილულ ხუთ ფრაგმენტში ჭარბობს *სიბნელისა და ბოროტების* თემა, *სინათლისა და სიკეთის* თემა კი უშუალოდ მხოლოდ ერთხელ შემოდის – III ფრაგმენტში, სადაც ხდება ამ ორი თემის აშკარა შებრძოლება. სამ ფრაგმენტში კი (I, IV, V) *ცრემლების* რიგის დეტალები არ გვხვდება, მაგრამ ისინი მაინც ფარულად ზემოქმედებენ *სიცილის* რიგის დეტალებზე და ცდილობენ მათი ძალის შესუსტებას.

ძალზე მნიშვნელოვანი მიგვაჩნია შემდეგი ფრაგმენტი.

ფრაგმენტი მეექვსე (VI)

„Und dabei sind sie tot“, sagte Jonathan und bekam Tränen in die Augen, während Adrian, wie ich wohl sah, von unterdrücktem Lachen geschüttelt wurde.

Für mein Teil muß ich anheimstellen, ob dergleichen zum Lachen oder zum Weinen ist (Mann, 1955, გვ. 30).

სიცილ-ცრემლების სიტყვათა რიგი:

(VI) Jonathan ... bekam Tränen in die Augen – Adrian ... von unterdrücktem Lachen geschüttelt wurde – ob dergleichen zum Lachen oder zum Weinen ist –

(VI) თვალცრემლიანი იონათანი – ადრიანი ... სიცილს ძლივს იკავებდა და ლამის გაგუდულიყო – სასაცილოა ასეთი რამ თუ სატირელი –

ამ ფრაგმენტში კვლავ შემოდის *სინათლის* და *სიკეთის* თემა *ცრემლების* სიტყვათა რიგის სახით. მისი მატარებელი ამჯერად იონათან ლევერკიუნია. გავიხსენოთ, რომ ის პირველ ფრაგმენტში *სიბნელისა* და *ბოროტების* თემას უკავშირდებოდა, მაგრამ არა მთლიანად: მისი მიდრეკილება ბოროტებისაკენ, ეშმაკისაკენ შესუსტებული, ფაქტობრივად განახევრებული იყო. ადრიანი კი ამ VI ფრაგმენტში მხოლოდ *ბოროტების* თემის რეციპიენტია, თუმცა არა მთელი ძალით: ეს მომენტი მასში ჩახშულია. ე.ი. ეშმაკის თემა მასში ბოლომდე არ არის განმტკიცებული (ისევე როგორც I, IV და V ფრაგმენტებში), თუმცა მთლიანობაში ორივე სიტყვათა რიგის დეტალების რაოდენობა აქ თანაბარია, და ეს პირველადაა რომანის ტექსტში. საერთოდ, ორივე სიტყვათა რიგი, ორივე საკვლევი თემა (ერთის მხრივ, *სიბნელის* და, მეორე მხრივ, *სინათლის*) ამ VI ფრაგმენტში პირველად ღიად და საკმაოდ გამოკვეთილად უპირისპირდება ერთმანეთს: **zum Lachen oder zum Weinen** (სასაცილოა თუ სატირელი). და ეს მნიშვნელოვანი მომენტი შემოაქვს მესამე პერსონაჟ-რეციპიენტს – იონათან ლევერკიუნს, რომელიც აქ ამ საკითხს ვერ წყვეტს, და კითხვა ჰაერში გამოკიდებული რჩება. თუმცა ჩვენ ამის თაობაზე საკუთარი მოსაზრება გავაჩნია. სტატისტიკის ჭრილში VI ფრაგმენტში გვაქვს ორი *სიცილის* და ორი *ცრემლის* დეტალი, და ისინი ერთმანეთს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანაბრად უპირისპირდება. ეს რაოდენობრივად, მაგრამ ხარისხობრივად სხვაგვარი სურათი იკვეთება. *ცრემლების* დეტალები, მართალია, ორივე სრულფასოვანია,

მაგრამ *სიცილის* დეტალებიდან ერთ-ერთი ფაქტობრივად განახევრებულია და საერთო ჯამში სახეზეა ორი *ცრემლების* და ერთნახევარი *სიცილის* დეტალები. ე.ი. აქ *სინათლისა და სიკეთის* თემას მცირე უპირატესობა გააჩნია.

ერთიანი *სიცილ-ცრემლების* სიტყვათა რიგი VI ფრაგმენტის შემდეგ

(I) mit einem Lächeln – mit dem *halb* lächelnden Blick der blauen Augen – eine Neigung zur Migräne ... der Jonathan allerdings unterlag – (II) Adrian hat gelacht – für das Komische einen durstigen Sinn hatte – (III) Adrians Erheiterung – einem Gelächter, das ihm Tränen erpreßte – mußte ich *recht herzlich* lachen – (IV) Adrian und ich – mit *halbem* und *verdutztem* Lächeln – (V) Adrian – sehr stark zum Lachen versucht war – es ... aus Rücksicht auf den väterlichen Ernst *unterdrückte* – (VI) Jonathan ... bekam Tränen in die Augen – Adrian ... von unterdrücktem Lachen geschüttelt wurde – ob dergleichen zum Lachen oder zum Weinen ist –

(I) ღიმილი დასთამაშებდა – *ნახევრად* მოღიმარ ცისფერი თვალების გამოხედვას – შაკიკისაკენ მიდრეკილებას ... რაც იონათანს მართლაც სჭირდა – (II) უცინია – ადრიანი კომიკურ ამბებს ხარბად ეტანებოდა – (III) ადრიანს ეს ამხიარულებდა – სიცილი – (სიცილისაგან) თვალებზე ცრემლი მოადგებოდა – მეც *გულიანად* ვიცინოდი – (IV) ადრიანი და მე – *ძლივს ვიმავრებდით* ღიმილს – (V) ადრიანსაც – სიცილის საღერღელი ჰქონდა აშლილი – მამის რიდი ... *აკავებდა* – (VI) თვალცრემლიანი იონათანი – ადრიანი ... *სიცილს ძლივს იკავებდა* და ლამის გაგუდულიყო – სასაცილოა ასეთი რამ თუ სატირელი –

ამ ორი თემის ურთიერთზემოქმედების ანალიზი შემდგომში ჩატარებული გვაქვს ასევე ქრონოლოგიურად, ასევე ფრაგმენტებში, სიტყვათა რიგების კონტექსტში – ერთიან *სიცილ-ცრემლების* სიტყვათა რიგში, რომელსაც ვალაგებთ რომანის თავების მიხედვით.

როგორც ამ ფრაგმენტთა ანალიზი გვიჩვენებს, *სიცილის* დეტალების რაოდენობა, რომლებითაც გადავსებულია რომანის მთელი ტექსტი, მცირდება ერთად აღებულ ბოლო ოთხ ფრაგმენტში (ესენია XLV, XLVI, XLVII თავები და ასევე ეპილოგი). შესაბამისად ცოტათი იზრდება *ცრემლების* დეტალების რაოდენობა. XLVII თავში ადრიანი უშუალოდ აღარ იცინის, მასთან ძირითადად *ცრემლების* სიტყვათა რიგია დაკავშირებული – კერძოდ, ამ რიგის სამი დეტალი: Tränen seine Wangen hinunterrinnen – naß – ein Klage laut (ჩამოუგორდა

ცრემლები დაწვებზე - სველი - შესაბრალოსი ბგერა -). ადრიან ლევერკიუნი ტირის.

ეპილოგშიც ადრიან ლევერკიუნი არ იცინის და თავად არ მონაწილეობს *სიცილ-ცრემლების* სიტყვათა რიგის ქმედებაში, სამაგიეროდ მის ნაცვლად სიტყვათა რიგის მოძრაობაში აქტიურადაა ჩართული მისი მეგობარი ზერენუს ცაიტბლომი, რომელიც „ტირის“: შესაბრალოსი - რა გამაზიარებელი თამაშია ბუნებისა - აცრემლებული გამოვტრიალდი - გერმანია [...] დემონებით გარემოცული - იმედის სხივს - ღმერთი იყოს თქვენი სულის შემწე, ჩემო მეგობარო, ჩემო სამშობლოვ! (მანი, 2002, გვ. 659-660).

ერთიანი *სიცილ-ცრემლების* სიტყვათა რიგის მიკროსტრუქტურის ბოლო ნაწილში *ცრემლის* დეტალები დომინირებენ და დევნიან სიცილის დეტალებს, ე.ი. უკავიათ მყარი დასკვნითი პოზიციები. ამიტომ ისინი, ჩვენი აზრით, პრევალირებენ *სიცილის* სიტყვათა რიგის დეტალებზე არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ ტექსტში განლაგების მხრივ და თავიანთი პოზიციებიდან გამომდინარე იმარჯვებენ როგორც *მონანიების* და *სიკეთის* თემის წარმომადგენლები.

როგორც გამოიკვეთა, *სიცილისა* და *ცრემლების* დეტალები მწერალს საშუალებას აძლევს, უფრო მკაფიო და ზუსტი კონტურებით წარმოაჩინოს პერსონაჟები და პირველ რიგში რომანის პროტაგონისტი. ეს თანდათან ნაჩვენებია ადრიანის ცხოვრების მაგალითზე. მაგრამ დაპირისპირება *სიცილისა* და *ცრემლის* დეტალებს შორის, ანუ *ბოროტებისა* და *სიკეთის*, ანუ *ემმაკისა* და *ღმერთის* თემებს შორის ფიქსირდება არა მხოლოდ კომპოზიტორის ცხოვრებაში, არამედ მის შემოქმედებაშიც (თუმცა ამ მომენტის განხილვა დაწვრილებით აქ არ ხერხდება). მისი ცხოვრება და შემოქმედება ეხლართება ერთმანეთს, გადახლართულია ლევერკიუნის ცხოვრებასა და მუსიკალურ სფეროში დაფიქსირებული *ბოროტება-ემმაკის* და *მონანიება-ღმერთის* თემები. განსაკუთრებით ეს ეხება ადრიანის ორ ნაწარმოებს: ესენია „*Apocalipsis cum figuris*“ (*სიცილის* დეტალი), რომელიც სიცილთან და ემმაკთანაა დაკავშირებული, და „*Dr. Fausti Weheklag*“ (*ცრემლის* დეტალი), რომელიც ცრემლებსა და ღმერთს უკავშირდება. *სიცილის* დეტალი-ლაიტმოტივი იწყება piano-ში და შემდეგ გადაიზრდება Crescendo tutti fortissimo-ში. სიცილის კულმინაცია – ეს არის **ჯოჯობეთური ხარხარი** „*Apocalipsis cum figuris*“-ში, ანუ *სიცილის* დეტალი **Höllengelächter**; *ცრემლის* სიტყვათა რიგი კი კულმინაციას აღწევს

კომპოზიტორის უკანასკნელ ნაწარმოებში „Dr. Fausti Weheklag“ („დოქტორ ფაუსტუსის გოდება“) *ცრემლის* დეტალში „Lamento“, სადაც უდიდესი გოდება მოიცავს ყველაფერს და მთხრობელის მიზანს ემსახურება: „ვინაიდან ვკვდები ცუდი და კეთილი ქრისტიანი“ (მანი, 2002, გვ. 630-631). ამ წინადადებაში *ცრემლის* სიტყვათა რიგის დეტალი „კეთილი“ დგას ასევე მეორე, დასკვნით პოზიციაზე, უპირისპირდება *სიცილის* დეტალს „ცუდი“ და მძლავრობს მასზე, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ რომანში იმარჯვებს *სიკეთისა* და *სინათლის* თემა.

ამრიგად, ჩატარებული ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსის“ *ბოროტება-ეშმაკის* თემის გამომხატველი *სიცილის* სიტყვათა რიგი რაოდენობრივად საგრძნობლად აღემატება *მონანიება-ღმერთის* თემის ამსახველ *ცრემლის* სიტყვათა რიგს; თავად გაერთიანებული *სიცილ-ცრემლების* რიგი იწყება *წმინდა სიცილის* დეტალით, რომელსაც თან მოსდევს მთელი კასკადი ასევე *წმინდა ან არა წმინდა სიცილის* დეტალებისა. მაგრამ რომანის დასასრულისკენ მათი რაოდენობა იკლებს, სამაგიეროდ იმატებს *ცრემლების* დეტალების რიცხვი და გაერთიანებული რიგი სრულდება *ცრემლის* სიტყვათა რიგის დეტალით Gott (ღმერთი). ასე რომ, სახეზეა სიკეთის ტრიუმფი ბოროტებაზე. ადრიან ლევერკიუნი რომანის დასასრულს აღარ „იცინის“, უმეტესწილად ის „ტირის“. მაშასადამე, ის თანდათან შორდება ეშმაკს და ღმერთს უახლოვდება. ბრძოლაში იმარჯვებს *ცრემლების* სიტყვათა რიგი, ე.ი. იმარჯვებს სიკეთის, მონანიების, სინათლის თემა, ე.ი. იმარჯვებს ღმერთი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- კაკაურიძე, ნ. (2015). *ადრიან ლევერკიუნი – გერმანიის პარადიგმა თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“*. კრებულში: „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“. ქუთაისი: „აწსუ გამომცემლობა“, გვ. 181-190.
- მანი, თ. (2002). *დოქტორი ფაუსტუსი. გერმანელ კომპოზიტორ ადრიან ლევერკიუნის ცხოვრება, მოყოლილი მეგობრის მიერ*. გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო კარლო ჯორჯანელმა. თბილისი: „მერანი“.
- Aisawa, K. (1983). *Ironie und Musik in Thomas Manns „Doktor Faustus“*. Tokyo: Fakult. of Letters, Univ. of Tokyo.



- Börnchen, St. (2006). *Allegorien von Schrift, Stimme und Musik in Thomas Manns „Doktor Faustus“*. München: Fink.
- Kaiser, G. (2001). „... und sogar eine alberne Ordnung ist immer noch besser als gar keine.“ *Erzählstrategien in ՅԾԹՅԾԵԾԻ Thomas Manns „Doktor Faustus“*. Stuttgart: Metzler.
- Koopmann, H. (2012). *Teufelspakt und Höllenfahrt: Thomas Manns „Doktor Faustus“ und das dämonische Gebiet der Musik im Gegenlicht der deutschen Klassik*. In: Goethe und die Musik. 25/99. Zentrum für Populäre Kultur und Musik. München. Goethezeitportal.
- Mann, Th. (1955). *Doktor Faustus*. In: *Gesammelte Werke in 12 Bänden*. Band VI. Berlin: Aufbau-Verlag.
- Wißkirchen, H. (1997). *Verbotene Liebe. Das Deutschland-Thema im „Doktor Faustus“*. In: „Und was werden die Deutschen sagen?“ – Thomas Manns „Doktor Faustus“. Hrsg. von H. Wißkirchen und Th. Sprecher. Lübeck: Dräger.
- Виноградов, В.В. (1980). *О языке художественной прозы: Избранные труды*. Москва: Наука.
- Русакова, А. (1967). *Томас Манн и его роман „Доктор Фаустус“*. Москва: Высшая школа.

#### References:

- Aisawa, K. (1983). *Ironie und Musik in Thomas Manns „Doktor Faustus“*. Fakultät of Letters, University of Tokyo.
- Börnchen, St. (2006). *Allegorien von Schrift, Stimme und Musik in Thomas Manns „Doktor Faustus“*. Fink.
- Kakauridze, N. (2015). *Adrian Leverk'uni – Germaniis paradigma Tomas Manis „Doktor Paustusshi“*. In *Tanamedrove interdistsiplinarizmi da humanitaruli azrovneba* [Modern interdisciplinarity and humanitarian thought] (pp. 181-190). Kutaisi: Atsu Gamomtsemloba.
- Kaiser, G. (2001). „...und sogar eine alberne Ordnung ist immer noch besser als gar keine.“ *Erzählstrategien in Thomas Manns „Doktor Faustus“*. Metzler.
- Koopmann, H. (2012). *Teufelspakt und Höllenfahrt: Thomas Manns „Doktor Faustus“ und das dämonische Gebiet der Musik im Gegenlicht der deutschen Klassik*. In *Goethe und die Musik* (Vol. 25/99). Zentrum für Populäre Kultur und Musik, Goethezeitportal.
- Mann, T. (1955). *Doktor Faustus*. In *Gesammelte Werke in 12 Bänden* (Vol. VI). Aufbau-Verlag.
- Mani, T. (2002). *Dokt'ori paust'usi: Germanel k'omp'ozit'or Adrian Leverk'iunis tskhovreba, moq'olili megobris mier* [Doctor Faustus: The Life of the

- German Composer Adrian Leverkühn, as Told by a Friend] (K. Jorjaneli, Trans. & Commentary). Merani.
- Rusakova, A. (1967). *Tomas Mann i yego roman „Doktor Faustus“* [Thomas Mann and his novel *Doctor Faustus*]. Vysshaya Shkola.
- Vinogradov, B. B. (1980). *O yazyke khudozhestvennoy prozy: Izbrannyye trudy* [On the language of fiction: Selected works]. Nauka.
- Wißkirchen, H. (1997). *Verbotene Liebe: Das Deutschland-Thema im „Doktor Faustus“*. In H. Wißkirchen & Th. Sprecher (Eds.), *„Und was werden die Deutschen sagen?“ – Thomas Manns „Doktor Faustus“*. Dräger.